

საქართველო



შანი 10 მან. პნირა, საქართველოს 12 1920 წ.

რეპრეზენტაცია

მთავრობის მხარე, უწყვეტილი განაგრძობს... საბარტონო რესპუბლიკა... ჯანთი ღირსი თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან.

მეოთხე გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო გულთადი და ღრმა მწუხარებით... მიხეილ ყარაძანის ძე ზაალიშვილი... ცხედარს გამოასვენებენ დღეს, კვირას დღის 9 საათზედ გიმნაზიის შენობიდან

№ 267. დაინიშნა: თანახმად საქართველოს სახელმწიფო ბანკის წესდების 99 მუხლისა... სახელმწიფო ბანკის მმართველისა. 4 ენკენისთვე, 1920 წ.

დაინიშნა: სახელმწიფო ბანკის საბჭოს და გამგეობის შეერთებული სხდომის დადგენილების თანახმად ივანე პურადაშვილი სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილების მმართველად და ბარლამში დიამანტოპულო სახელმწიფო ბანკის ინსპექტორად... მმართველი იას. ლორთქიფანიძე.

მითითებული მინისტრისა. 21 ენკენისთვე, 1920 წ., № 8907. ამა წლის 6 ენკენისთვეს დავრუნდი დასტურდებიან და შეუდგები ჩემი მოვალეობის ასრულებას მიწათმოქმედების და გზათა სა-მინისტროებში. მიწათმოქმედების და გზათა მინისტრი ნ. ლომჯიანი.

საქართველოს მემორანო! უკანასკნელ 4 თვის განმავლობაში მე ვიდექი თქვენს სათავეში და გიწვედით შეძლებისდაგვარად ხელმძღვანელობას მთელი ჩემი ძალით. წინადაც, როგორც მშვიდობიანობისას, ისე სამხედრო მოქმედებათა დროსაც, მე არა ერთხელ შემხედრებია წილად თქვენ სათავეში ყოფნა. ჩემთვის ძვირფასი და მშობლიური მხედრობაში, ჩემი ძვირფასი სამშობლოს მეომართა შორის გატარებულს დროს მე ვსთავლი ჩემს ცხოვრებას და სამსახურს უზღუნდინერეს ხანათ. ჩემი უფროსობის ყოფნისას თქვენ არა ერთხელ დაამტკიცეთ თქვენი ერთგულება და სიყვარული სამშობლოსადმი. საქართველოს გმირებო! თქვენ კეთილსინდისიერათ მოიხადეთ ვალი სამშობლოს წინაშე. თქვენ ღვრიდით საკუთარ სისხლს, ხშირათ განიცდიდით სიმშვილ-სიცივის, მაგრამ მტკიცეთ გასწავლეთ თქვენი მოვალეობა და მიუხედავად გავირგება სიძველისა, თქვენ, ჯარმა და გვარდამ თქვენი გმირული გულმკერდით შეინარჩუნეთ სამშობლოს დამოუკიდებლობა და ყველაფერი ის, რაც მისცა ჩვენს ქვეყანას რევოლიუციამ, თქვენ იცლენოდით სისხლისაგან საომარ ველზე თქვენზე უფრო მრავალ რიცხოვან მტერთან ბრძოლის დროს, თქვენ გადალახეთ უმაღლესი და ძნელათ გასავალი თებები, გადაიარეთ მდინარეები, თქვენ როგორც არწივნი თავს დასტრიალებდით ჩვენი სამშობლოს სადაცა-ც იქნებ. მიმოფრინავდით ერთი საზღვრიდან მეორე საზღვარზე და მუხვივით ეკვეთებოდით მტერს. ჯარისა და გვარდის მეომარო! თქვენ მხარ და მხარ ერთმანეთთან ღვრიდით სისხლს ჩვენი სამშობლოს დასაცავათ და ამით კიდევ უფრო მტკიცეთ დაუკავშირდით ერთმანეთს. წითელ ხილთან ბრძოლის დროს სახალხო გვარ. გმირულათ იბრძოდა უფრო მრავალ

რცხოვან მტერთან, რომელიც მანამდე ძლევამოსილათ მოდიოდა ათას ვერსტს. მაგრამ საქართველო შეიღებამ პირველ შეტაკებისთანავე დაამარცხეს ის და უკუ ადგეს შორს ჩვენი საზღვრებიდან. გვარდია ღირსეულათ და სრული თავგანწირვით იბრძოდა მტერთან, რათა იმის სურვილით გატაცებულ მუდმივი ჯარისათვის საშალებმა მიეცა მტრის შესახედრათ მომზადებულიყო და გვარდიამ ჩვენი სახელოვანი წინაპრებივით შეასრულა თავისი მოვალეობა გმირულად და სახელოვანათ.

მე უნდა დავადსტურო, რომ თქვენ, საქართველოს მეომარნი, იბრძოდით თქვენი მოვალეობის სრული შეგნებით. თქვენთვის საჭირო არ იყო მოცემულ დაავლებების შესასრულებლათ ძალდატანება, თქვენთვის მხოლოდ მიზნის დასახელება იყო საქმარისი და თქვენ ყოველთვის სრული შეგნებით და მხურვალე გულით ეკვეთებოდით მტერს. უფროსობა და ხელმძღვანელობა ასეთი მხედრობისა, რომელსაც უსაზღვროთ უყვარს თავისი სამშობლო და მტკიცეთ ესმის თავისი მოვალეობა მის წინაშე, ყოველი სა-მხედრო პირისათვის არის უაღრესი ბედნიერება. ჩვენს ძვირფას და სასიძულლო სამშობლოს ხსოვნაში ყოველთვის იქნება თქვენი გმირობა და მამაცობა, ის ყოველთვის მადლობით მოიგონებს თავის სახელოვან შეილებს. ესტოვეზ რა მთავარსარდლის თანამდებობას, მე მსურს სრული პატივისცემით და მხურვალეთ აღწინაშე თქვენი გმირული სამსახური სამშობლოსადმი. თქვენ დაამტკიცეთ, რომ თქვენ ხართ ღირსეული შეილნი ჩვენი ღირსეული წინაპრებისა. აღსდგენ საქართველოს ძველი გმირები. დიდება სამშობლოს, დიდება თქვენ, ვაჟმარჯოს საქართველოს და მის სახელოვან მხედრობას.

გენერალი კვინიჭაძე. მთავრობაში შეღავათი უკანასკნელ კაცებს. ის ჯარის კაცი, რომელსაც საგანგებო სა-მხედრო სასამართლოებით მისჯილი ჰქონდათ სხვა და სხვა ვადით კატორღა და თანახმად თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა გაიგზავნენ ფრონტზე პირებით განთავისუფლებულ იქმნენ სასჯელისაგან. შაქრის და მანუფაქტურის გატანის აქრძალვა. მთავრობამ დაადგინა: 1) დროებით აიჭრძალოს რესპუბლიკის ფარგლებიდან შაქრის გატანა. 2) დროებით აიჭრძალოს რესპუბლიკის ფარგლებიდან მანუფაქტურის გატანა. მთავრობის სხდომები. მთავრობამ დაადგინა: აღადგინოს მთავრობის სხდომები შაბათობით.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაგზავნა ანთ ასხალავს რომ საეიფო ფაქულტატი და საგანგებო სა-კულტურის გეორგისა და მისგან პურსზე ინსენგ პარ-ლელო კურსები რუსულ ენაზე ყოფილი ამიერ-კავკასიის კერძო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის, რომელნიც მიღებულ იქმნებიან თანახმად სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული წესებისა. თხოვნების მიღება პარალელური კურსების სტუდენტად ჩარიცხვისათვის სწარმოებს უნივერსიტეტის კანცელარიაში ამა სექტემბრის ოცდახუთამდის. თხოვნას თანდათული უნდა ჰქონდეს მოწმობები: 1) საშუალო სასწავლებლის ვათავებისა, 2) მეტრიკული, 3) სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ, 4) ამიერ-კავკასიის კერძო უნივერსიტეტისაგან სავგებისა და კურსების ჩათვლის შესახებ და 5) ორი ფოტოგრაფიული სურათი.

წინანდლის სახელმწიფო გაგზავნილ საგარტოველო ანთ საყოველთაოდ ასხალავს რომ კვირას, 19 ამა სექტემბერს, დილის 10 საათზე—მამულის სამმართველოში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა 75.000 ხალი მუხის ტყრის (კლიოკაბის) დასავგა დეგლათ განმეორებითი ვაჭრობა მოხდება 23 ენკენისთვეს. სატყერ ტყეების აღება შეუძლია იკის, რომს მამულმა ოელავის მარის დაჩებში—სატყეო უწყებასთან შეთანხმებით. აღნიშნულ რაოდენობის ტყეების დამზადება დაფასებულია 2,567,250 მან. და ვაჭრობაც ამ ფასებიდან დაიწყება. მსურველს შეუძლია წარმოადგინოს დახურული პაკეტებიც. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარადგინოს ვაჭრობის დაწყებამდე მთელი ფასის 10% ფულათ თუ პროცენტთან ქაღალდებით. დაწვრილებითი პირობების ვაგება შეიძლება ტფილისში, სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში ყოველ დღე 9-1 საათამდე და მამულში ყოველ დროს. 887 2-1

ოფიციალური განყოფილება. განკარგულებანი იუსტიციის მინისტრისა. კუთახის ოლქის სასამართლოს ბათუმის განყოფილება. № 324.

1920 წ. აგვისტოს 28-ის № 5501 ცირკულარის დამატებად წინადადებას გაძლევთ იმ საქმეებში, რომლებიც სასამართლოში წარმოებით უკვე დაწყებულია და ვეჭილებათ მხარეების მხრივ უკვე მოწვეულნი არიან არა ჩვენი ვეჭილთა კორპორაციის წევრნი, რომლებმაც უკვე დაიწყეს მსვლელობა საქმეზე მიეცეს საშუალება, აღნიშნულ საქმეების თაობაზე მისცეს სასამართლოს სიტყვიერი აბსნა-განმარტება რუსულ ენაზე. სასამართლოს საქმის წარმოება კი ასეთ შემთხვევაშიც, თანახმად ზემოლ ხსენებულ ცირკულიარისა, სახელმწიფო ენით უნდა ხდებოდეს.

9 სექტემბერი, 1920 წ. № 325. საქართველოს სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის პროკურორის ამხანაგი ირაკლი ნიკოლოზის ძე ვეზირიშვილი რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის აგვისტოს 31-ის დადგენილების ძალით განთავისუფლდა. ბულ იქმნას თანამდებობიდან, თანახმად მისი თხოვნისა, მიმდინარე წლის სექტემ. 10-დან. იუსტიციის მინისტრი რ. არხენიძე. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა. 8 ენკენისთვე, 1920 წ., № 265. განთავისუფლებულ იქმნას თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კანცელარიის უფროსი დავით ყარაძანის ძე ჩხეიძე ამ-1920 წ. 9 ენკენისთვიდან. დაინიშნულ იქმნას: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის საბჭოს მდივანი ვლადიმერ მიხეილის ძე ტუაჩოვი-ახობაძე იმავე სამინისტროს კანცელარიის უფროსის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად ამა 1920 წ. 10 ენკენისთვიდან. № 268. განთავისუფლებულია: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კანცელარიის ყოფილი უფროსი დავით ყარაძანის ძე ჩხეიძე მასზე დაკისრებულ საქართველოს სახელმწიფო ბანკის საბჭოს წევრის თანამდებობიდან თანახმად მისი თხოვნისა ამა 1920 წ. 10 ენკენისთვიდან.





